ადამიანისა და ტურის კონფლიქტი
ადამიანის მიერ გარდაქმნილ ლანდშაფტში

თამაზ პეტუაშვილი

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე სამაგისტრო ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

მიმართულება: ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ნათია კოპალიანი - პროფესორი, ცხოველთა ქცევის ეკოლოგიისა და კონსერვაციული ბიოლოგიის მიმართულებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის - ადამიანისა და ტურის კონფლიქტი, ადამიანის მიერ გარდაქმნილ ლანდშაფტში - ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, გამოქვეყნებული მასალა ნაშრომში ციტირებულია სათნადო წესების დაცვის შესაბამისად.

თამაზ პეტუაშვილი

15/06/2025

აბსტრაქტი

ადამიანისა და ტურების კონფლიქტი გარდაქმნილ ლანდშაფტში საქართველოს შემთხვევა

კვლევა ეხება ადამიანსა და ტურას (*Canis aureus*) შორის კონფლიქტის ანალიზს საქართველოს ერთ-ერთი, ანთროპოგენულად გარდაქმნილ ლანდშაფტში. იგი ეფუძნება ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვას, რომელიც ჩატარდა შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და თბილისის შემოგარენში (გორი, გარდაბანი, მარნეული, კოჯორი და ტაბახმელა), გამოვკითხე 126 რესპონდენტი წინასწარ მომზადებული დახურული კითხვარებით, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ვსვამდი დამატებით ღია კითხვებს. შედეგად შესწავლილ იქნა ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება მტაცებლის მიმართ, გამოვლინდა კონფლიქტის მიზეზები.

კვლევამ დაადასტურა, რომ ტურა საზოგადოების აზრით წარმოადგენს ყველაზე პრობლემურ მტაცებელს საკვლევ ტერიტორიაზე (გამოკითხულთა 86%), მნიშვნელოვნად აღემატება მელიასა (67%) და მგლის (22%) მიერ შექმნილ პრობლემებს. კონფლიქტის ძირითადი მიზეზებია: ეკონომიკური ზარალი (ძირითადად შინაური ფრინველების ხოცვა - 83%), სივრცული კონფლიქტი (სოფლებში შეჭრა - 71%) და შიში, რომელსაც მტაცებელი იწვევს მოსახლეობაში. კონფლიქტი მწვავდება ზამთრის პერიოდში (74%), როდესაც ბუნებრივი საკვების სიმწირის პირობებში ტურები აქტიურად იყენებენ ადამიანის რესურსებს.

კვლევის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები ორი მიმართულებით: (1) ადგილობრივი მოსახელობისთვის - თემის სამეთვალყურეო ჯგუფების შექმნა, ფიზიკური დამცავი ინფრასტრუქტურის დაფინანსების მოპოვება და საგანმანათლებლო სესიების განხორციელება; (2) ეროვნული დონისთვის - მტაცებლების მართვის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, მონაცემთა ბაზების შექმნა და ინტერდისციპლინური პროექტების დაფინანსება. სამომავლო კვლევებისთვის სასურველია ტურების ეკოლოგიური მონიტორინგის გაღრმავება ტელემეტრიის გამოყენებით, გრძელვადიანი სოციალური კვლევების ჩატარება და ბიოეკონომიკური ანალიზის განხორციელება.

კვლევა მიუთითებს, რომ ადამიანისა და ველური ბუნების თანაარსებობის მდგრადი მოდელის შესაქმნელად აუცილებელია კომპლექსური, ეკოსისტემაზე

დაფუძნებული მიდგომა, რომელიც ერთდროულად გაითვალისწინებს ეკოლოგიურ, სოციალურ და პოლიტიკურ მხარეებს.

საკვანძო სიტყვები: ადამიანისა და ველური ბუნების კონფლიქტი, ტურა, ადაპტაციური ქცევა, ანთროპოგენული ზეგავლენა.